წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

ოთხშაბათი, 15 ივნისი

# სამშობლო

№ 380

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური დამატებით 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

## კნეინა ნინო წერეთლისა დადეშქელიანის ასული,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: და კნ. მარიამი და სიძე ჯვებე დადიანი, რძლები: კნ. ელენე დადეშკელიანისა შარვაშიძის ასული, კნეინა ელისაბედ დადეშკელიანისა ანჩაბაძის ასული; დისწულები: კნეინა მარიამ წულუკიძისა ნიჟარაძის ასული, ფედოსია ქუთათელაძისა წულუკიძის ასული, აგრაფინა იასონის ასული წულუკიძისა, მიხეილ ერმალოზის ძე ნიჟარაძე, კოწია, სანდრო და ანდრო თავადი იასონის ძენი თავადი წულუკიძეები; სიძეები: თავ. გიგო სიმონის ძე წულუკიძე და ილიკო მოსეს ძე ქუთათელაძე.

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. პოლიციის ქუჩა, საკუთარ სახლში. დაკრძალვის დღე შემდეგ გამოცხადდება. 2—1

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 13 ივნისიდან ახალი პროგრამა.

ტრაპიზონის აღება.

სამ ნაწილად. სურათი ხუთ მოქ. შესანიშნავი მომენტები: 1) „გებენთან" და „ბრესლაუსთან" ბრძოლა, 2) ბოსტან ფაშის კორპუსის გაქცევა, 3) ბეზ ტერპესის მაღლობში ბრძოლა, 4) რუსის ჯარის შესვლა ტრაპიზონში.

რვათა დაღუპვა დრამა ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით

ანონსი: ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა მხოლოდ მოზრდილთათვის.

გარყვნილების მორევი. კუპრინის რომანიდან სამ სერიად და 18 ნაწილად დაწვრილებით თავის დროზე გამოცხადდება

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან, 13 ივნისიდან გომონის ქრონიკა მიმდინარე ამბები.

მიმინებული ხეადა ანუ ხე სიკვდილისა.

ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან დიევსკისა, გოვრილისა, ბურლანოვისა და დანოვინსკის მონაწილეობით. მონაწილეობს საიმპერატორო თეატრის მსახიობი ქ-ნ სმირნოვისა.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა.

მოჩვენებანი. თანამედროვე დრამა 4 ნაწილად მონაწილეობას ღებულობენ: ვ. ა. პოლონსკისა, გრამოვისა და სხვა სცენარია ე ტისოვისა.

ადგილების ფასი „ამპირსა" და „რადიუმში"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ, ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

კვირას, 19 ივნისს, დღის 12 საათზე ქუთაისის სათადარიგო ცხენოსანთა საარტილერიო ბანაკში დანიშნულია

14 უვარგისად ცნობილ ცხენისა და 15 კვიცის

გაყიდვა.

ცხენების გასინჯვა შეიძლება ამავე დღეს. 2—2

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$—4 საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს. — 8 საათ. 2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე ურცხის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედაქც.

განცხადება

კოოპერატივების საყურადღებოთ

დათიკო ქებაძის საფაჭროში მიღებულია დიდძალი ლამპის შუშა № 11, 8, 5. და იყიდება ზომიერ ფასებში. 5—5

განცხადება

აფთიაქების საყურადღებოთ

დათიკო ქებაძის საფაჭროში მიღებულია: საფაღარათო ზეთი (სლაბიტელი), ინგლისური მარილი (ანგლისკ სოლ), სასმელი სოდა და გლიცერინა. 5—5

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 13 ივნისი. იაკობშტადტისა და დვინის პოზიციების ზოგ ნაწილში საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. დაბა გორდიშჩეს აღმოსავლეთით (ბარანოვიჩის ჩრდილოეთით) 12 ივნისის ღამეს მტერმა ჯერ ზარბაზნები დაუშინა მძლავრად სკრობოვის კარმიდამოსთან ჩვენ თხრილებს და შემდეგ იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. ამავე დღ... ცდილობდა დაახლოვებოდა ჩვენს თხრილებს რაც არ შევასრულებინეთ ვეგონოვის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელები იერიშით წამოვიდნენ დაბა ლიპსიდან ხუთი ვერსით სამხრეთ დასავლეთისაკენ, მაგრამ უკუ ვაქციეთ. 12 საათზე იერიში გაიმეორა უფრო ფართოდ და მძიმე და სუბუქ არტილერიის დახმარებით გუშინ გმირულად დაიღუპნენ მფრინავები პოდპორუჩიკი კვასოვი და უნტერ აფიცერი ვლადიმიროვი მდ. სტირზე სოფ. კოლკი—სოკულის მიდამოებში გერმანელები ჩვენ თხრილებს კვლავ უშენდენ მძიმე არტილერიას და ალაგ ალაგ იერიშითაც მიდიოდენ, მაგრამ ყველგან მოვიგერიეთ.

განმეორებითი იერიშები, საგრძნობი ძალებით წარმოებული, ლინიევკის მიდამოებში (მდ. სტოხოდზე) თოფის და ზარბაზნის სროლით მოვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა ნახევარი ვერსის მანძილზე სდევნა მტერი და დაატყვევა ერთი აფიცერი და 45 ჯარისკაცი. ლუცკის მიმართულებით, და უფრო სამხრეთით, მდგომარეობა უცვლელია. კერძო ხასიათის იერიში მტრისა სოფ. ზატურცეზე მოვიგერიეთ. ბუჩაჩის სამხრეთით, სნოვიდოვთან, დონის ყაზახებმა დნესტრი გადალახეს, სდევნეს მოწინავე რაზმები, დაიჭირეს სოფ. სეკენგიმი და პეტრუვი და ტყვეთ წამოიყვანეს 5 აფიცერი და 350 ჯარისკაცი. კიმპოლუნგასთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბრძოლით აიღო სიმაგრე პოზორიტასთან კიმპოლუნტიდან 8—10 ვერსით ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ. დამატებითი ცნობებით, გურა-გუმორა-რავას რკინის გზაზე (გურა გუმორას ჩრდილო-დასავლეთით) ჩვენ დაგვრჩა ავსტრიელების მიერ დატოვებული დიდძალი ხე-ტყე და 31 ვაგონი ამნაირად ჩვენ დავუახლოვდით ტრანსილვანიაში გადასასვლელ მთებს.

კავკასიის ასპარეზი

პლატონასთ და ჯივიზლიკთან ოსმალების იერიში ზარბაზნის, თოფისა და ხელის ყუმბარის ცეცხლით მოვიგერიეთ. მდ. ეფრატის მარჯვენა მხარეს (მურად ჩაისთან) ოსმალებმა გათენებისას წინსვლა დაიწყეს და ფ ნურიჯის სიმაღლე დაიპყრეს, მაგრამ შუადღისას იქიდან განვდევნეთ. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში საარტილერიო მზადების შემდეგ რევანდუზზე მტერი იერიშით წამოვიდა და ნაწილი ჩვენი პოზიციებისა დაიპყრო, მაგრამ ჩვენ კონტიერიში მივიტანეთ და ხიშტებით განვდევნეთ; მტერმა ჩვენი სიმაგრეების ახლოს ბევრი დაჭრილი და დახოცილი დასტოვა.

**პარიზი.** 12 ივნისი სტრანტოს სრუტეში იტალიელების დამხმარე კრეისერი „ციტად მესსინა" წყალქვეშამ დაღუპა. კონტრნაღმოსანმა „ფურშმა" იერიში მიიტანა წყალქვეშაზე ... წყალში ჩაიმალა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ალაგას წყალქვეშამ დაღუპა კონტრნაღმოსანიც. გადაარჩინეს თითქმის გემის ყველა მოსამსახურე.

**ლონდონი.** 13 ივნისი. ინგლისის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან ლოოსის ჩრდილოეთით წინ წაწეულ ნაწილზე გერმანელებმა იერიში მიიტანეს და მოგერიებულ იქნენ. ინგლისელების არტილერია კვლავ ენერგიულად მოქმედობს მთელ ბრძოლის პირზე. ნევილთან ბაილდის სამხრეთით და იპრ—მენენგის გზის ჩრდილოეთით მძაფრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. დანარჩენ ბრძოლის პირზე სანაღმო და საარტილერიო ბრძოლაა.

**რომი.** 12 ივნისი. მთავარი ბინის ცნობა მდ. ადიჯესა და ბრენას შუა ავსტრიელებმა არტილერიის ცეცხლი გააძლიერეს; იტალიელები ჯვარედინი ცეცხლით უმკლავდებოდნენ და რამდენიმე სიმაგრე დაუნგრევიათ არსისა და პოზინოს ღელეებში, აზიაგოდან სამხრეთ-დასავლეთით, მონჩიელტასა და კამპიელტოს შუა, არზას ღელის სამხრეთ ნაწილში და აგრეთვე პუნტაკორშინის და ჩებუნას შუა

**პარიზი.** 12 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ. მაასის ორივე მხარეს ქვეითა ჯარს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. მაასის მარცხენა მხარეს ძლიერი საარტილერიო ბრძოლა მოხდა სიმაღლე 304—მორტჰომ-შატანკურთან მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა მძაფრად განაახლეს საარტილერიო ცეცხლი. 5 საათზე ფრუდეტურ-ფლერის წინაამდეგ. ბრძოლის დანარჩენ პირზე მხოლოდ საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი.** 13 ივნისი დღის ოფიციალური ცნობა. ფილ მორტზე გერმანელების მიერ მოტანილი იერიში ფრანგებმა მოიგერიეს ხელის ყუმბარებით. მაასის მარცხენა მხარეს საარტილერიო ბრძოლაა განსაკუთრებით მარტჰომთან. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის სიმაგრეებზე გერმანელების მიერ მოტანილი იერიში უნაყოფო გამოდგა, რადგანაც ფრანგთა ქვეითა ჯარი თოფის სროლით შეხვდა მათ ფიუმენისა და ლიშენუას ტყეების შუა ფრანგებმა გერმანელების რამდენიმე თხრილი დაიპყრეს. ზოგ ალაგას არტილერია მოქმედებს ბრძოლის დანარჩენ პირზე სიწყნარეა

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

მდინარე „სტოხოდთან" ცხარე შეტაკება ყოფილა. ბრძოლის დროს უცბად ძლიერი ნიაღვარი მოვარდნილა და ორივე მებრძოლი მხარე დიდათ დაუზარალებია.

—

ავსტრიის ჯარების მთავარსარდლებს ვილჰელმის დეპეშა მისვლიათ. ვილჰელმი სწერს: კარგად ვიცი თქვენი მდგომარეობა და შეელაც სულ მალე იქნება, მხოლოდ თქვენი ერთადერთი მოვალეობაა სიმხნევე და ვაჟკაცობა გამოიჩინოთ, არა თუ ამ ჟამად, არამედ მაშინაც კი, რომ მტერი თვით ვენის კარებთან იდგესო.

—

ავსტრიელებმა ქ. ბელგრადში სანაღმო მოქმედების გამო ყველა დაკეტილი დაწესებულება გახსნეს და აგრეთვე ყველა პუნქტში მიმოსვლა აღადგინეს. ფინლიანდიიდან კიდევ რამდენიმე ბარონი გადაასახლეს.

—

ვერდენთან გერმანელებმა „ეზა"ს მაღლობს უშენდა. მაღლობი ძლიერ დაზიანებულია.

—

შვეციის გაზეთები ბევრს სწერენ გალიციის ასპარეზის შესახებ: ერთი მათგანი მეთაურ წერილში ამბობს: შეიძლება საერთაშორისო ომის გადამწყვეტ ადგილად გალიციის ასპარეზი ჩაითვალოს, მით უფრო, რომ როდესაც რუსის ჯარი წინსვლას ... მაშინ აქ ავსტრია-გერმანია მთელ თავის სამხედრო ძალებს მოუყრიან თავს და დიდი და გადამწყვეტი შეტაკება მოხდებაო.

—

გერმანული გაზეთები სწერენ: გადარჩენილმა სერბიის ჯარმა საომარ ოპერაციების განახლებაზე უარი განაცხადაო.

—

რუსთა წინსვლამ ჩაშალა იტალიის ასპარეზზე ავსტრიელების გეგმა. ამ ასპარეზით ტახტის მემკვიდრის ფრიდრიხის ჯარა შეტევა შეაჩერა და მოგერიებაზე გადავიდა.

—

შვეიცარიის გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევე" აღნიშნავს, რომ გალიციის გამარჯვებები შეთანხმების მხარეზე ომის სასწორის გადახრას მოასწავებსო.

—

სპარსეთის ოფიციალმა მთავრობამ რუსეთის გამარჯვებანი იდღესასწაულა.

—

სამხედრო ავტორიტეტები ირწმუნებიან, რომ გერმანიამ გადასწყვიტა მოგერიებითი ომი აწარმოოსო.

—

„ბორჟ. ვედ." იუწყება: რადგანაც საბერძნეთმა „მფარველთა" ულტიმატუმი მიიღო, ჯარის დაშლასა და ახალი სამინისტროს შედგენაზე დასთანხმდა, ამიტომ „მფარველები" ამ დღეებში საბერძნეთის სანაპიროებს ალყას მოხსნიანო.

—

ჩერნოვიცის ქალაქის მოურავად რუსეთის მთავრობას რუმინელი თემისტოკლ ბაკარუკა დაუნიშნავს.

—

რუმინიის პრემიერმა ბრატიანომ თანამდებობა დასტოვა.

—

ბუქარესტიდან მოსული ცნობებით, ვილჰელმი ჰინდენბურგის უკმაყოფილო ყოფილა და მის ალაგას მაკენზენი დაუნიშნავს.

—

ჩრდილო მანჯურიიდან იაპონიამ თავის ჯარები გაიყვანა.

—

გაზეთ „ტაიმსი" სწერს: „წრევანდელი საზაფხულო კომპანია ბრძოლის ველებზე მეტად ცხოველ მყოფილა. ასთანავე კიდევ ჩვენ თანდათან ვასწორებთ

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რიგის ყურიდან მოყოლებული პოლესიემდი გერმანელები ალაგ-ალაგ საარტილერიო და ქვეითა ჯარის ბრძოლას აჩაღებენ. ბუკოვინაში რუსის ჯარი ტრანსილვანიის გასავალს უახლოვდება.

**დასავლეთის ასპარეზი.** მთელ ასპარეზზე სიწყნარეა, გარდა ვერდენის მიდამოებისა, სადაც გერმანელებმა სოფ. ფლერის ნახევარი დაიპყრეს და ფორტ ფლერის სამი მხრით ერტყმიან.

**კავკასიის ასპარეზი**. სხვადასხვა მხრიდან ოსმალები წინ წამოვიდენ, მაგრამ მოგერებულ იქნენ.

**იტალიის ასპარეზი.** წვრილმანი ბრძოლებია.

**ზღვაზე.** ავსტრიელთა წყალქვეშამ იტალიელების ერთი დამხმარე კრეისერი და კონტრნაღმოსანი დაღუპა.

შეცდომებსა და შეფერხებულ საქმეს გერმანიას ცოცხალი ძალის დიდი ნაწილი დაეხოცა, მხოლოდ ჩვენ ცოცხალი ძალა კიდევ ბევრი გვყავს და რამდენიმე წელს გვეყოფაო ეჭვი არ არის, თუ განსაკუთრებულმა მოვლენებმა ხელი არ შეგვიშალა, წრევანდელ საზაფხულო კომპანიაში გერმანიას საგრძნობლად დავამარცხებთ და მას ზავის ჩამოგდებას მოვათხოვიებთო.

— —

ჰუნგრეთში დაარსდა „ძმური რაზმი“, რომლის მიზანიც არის უნგრეთის დასაცავად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლა და უნგრეთის მიწაწყლიდან მტერის განსადევნად ყოველგვარი უკიდურესი ზომის მიღება.

— —

„მატენი“ სწერს: ვის მხარეზეც უნდა იყოს ბალკანეთზე გამარჯვება, ეჭვი არ არის, საბერძნეთს ჩვენი სურვილისამებრ ავამოქმედებთო. თუ ბრძოლის ველზე არ გამოგვყვა საბერძნეთი, გერმანიისადმი თანაგრძნობას მაინც უარსყოფსო.

— —

ბერლინიდან მოსული პირები იუწყებიან: გერმანიის მთავრობა აღმოსავლეთის ფრონტზე დიდძალ ჯარს ჰგზავნის. ფელდმარშალი ჰინდენბურგი ამ დღეებში რიგის ასაღებად ძლიერ შემოტევებს დაიწყებსო.

— —

ავსტრიელების დახსნა მოსალოდნელ დიდ კატასტროფისაგან ჰინდენბურგს ჰქონიამინდობილი მან აღმოსავლეთის ფრონტზე საერთო შემოტევა უნდა დაიწყოს, რაც გალიციის პირით რუსეთის მებრძოლ ჯარზე გავლენას იქონიებსო.

— —

გერმანელები რიგის ყურეზე ახალ თავდასხმის მოწყობას აპირებენ.

— —

„დალლუ ქრონიკლი“ იუწყება: ავსტრიამ სერბეთის ლაშქარი გალიციის ასპარეზზე გადმოიყვანაო.

## სამხედრო მიმოხილვა

**მოწინააღმდეგის მთავარი ყურადღება.**

მთავარ შტაბის გუშინდელ ცნობებს თვალსაჩინო ამბავი არა მოუწვდია რა აღმოსავლეთის ასპარეზის შესახებ, რაც უკანასკნელ ხანებში დატრიალებულ ამბების ლოღიკურ დასკვნად უნდა ჩაითვალოს. ბრძოლა პირველ კვირის თამამი წინსვლის შემდეგ თანდათანობით სცხრებოდა და ბოლოს სრულიადაც მიყუჩდა.

დაცხრა პირველი დღის მძვინვარე ბრძოლები, რომლის მაგივრადაც ადგილობრივი მედგარი ბრძოლები გაჩაღდა. ეხლა კი სწარმოებენ პატარა ბრძოლები, რომლებიც მხოლოდ გამოძახილებია გალიციის დიდი ბრძოლებისა და აქა, იქ თუ ასწორებს რომელიმე მხარე თავის მდგომარეობას.

შორს არ არის ის დროც, როდესაც აღმოსავლეთის ასპარეზზე პოზიციურ ხასიათს მიიღებენ ბრძოლები.

პირველმა ხანამ ავსტრიელთა გზა აბნეულობისამ უკვე განვლო, მოიმარჯვა საშუალებანი და გაუმაგრდა რუსთა უძრავ ჯარს, მალე მოეშველნენ გერმანელებიც ოგინის ბრძოლების სახით და ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდენილი დემონსტრაციებით.

[illegible] ვერ მიაღწია იმ მიზანს, რომელიც მას მიაწერეს.

გალიციის შეტევას უნდა აელებინებინა გერმანელებისათვის ხელი ვერდენთან შეტევაზე და ზოგიერთთა წარმოდგენით კი გერმანელებს მარნასთან განცდილ დამარცხებისთანა რაღაც უნდა დამართოდათ; გალიციის შეტევით იმედოვნებდენ გადაერჩინათ საფრანგეთი „ტევტონთა შესევისაგან და სხვა.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ფრანგთა ოფიციალურ ცნობების რიგს ამ გალიციის ოპერაციის დროს ვერდენთან მომდგარ ბრძოლების შესახებ, ნათლად დავინახავთ, რომ მაასის ორივე ნაპირებით გერმანელებმა წინ წაიწიეს, მოწინავე სიმაგრეთა შორის, რომლებიც თავის ხასიათით ლაბარინტის ჯვარედინებს მოგვაგონებს

გერმანელებმა განვლეს უკვე სიმაგრეთა კრიმანჭულები და მიადგენ ციხის მთავარ ბურჯებს

ფორტი ფლერი სამი მხრით გარშემოვლილია დღეს თუ არ ხვალ ტავანსა და ციხის სხვა ბჭეებს მოელის საფრთხე ფორტ ფლერის დაცემით.

შვერელი.

## ქუთაისი, 15 ივნისი

**გაუგებრობის ნიმუში.** გაზ. „სახ. ფურცლი“-ს №596-ში დაბეჭდილია მოწინავე — „ქართველი ბურჟუაზია და ეროვნული იდეალი“. გაზეთი უკმაყოფილოა, რომ ქართველ მოქალაქეთა წრე აარსებს კავკასიის ბანკს და ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან შედარებით ერთგვარ წინააღმდეგობას ხედავს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მოქალაქეთა წრის პოლიტიკური გრძნობა და ალღო გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე მოსაზრებანი „ს. ფ.“ ის პუბლიცისტისა!

ამიერკავკასია წარმოადგენს ერთ განუყოფელს და განუკვეთელ ეკონომიურ ერთეულს, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ქართველ ერის არსებით ინტერესებს შეიცავს.

ეს არის ის სფერო, ის ბაზისი, სამოქმედო ბაზისი, რომელსაც ქართველი ერი თავის სიცოცხლეში ვერავის დაუთმობს და მუდამ აღიარებს თავისი კულტურული და პოლიტიკური მესვეურობის მიუცილებელ ფუძეთ.

კასპიის ზღვიდან მოკიდებული შავ ზღვამდე გახლავთ გადაჭიმული ის არე, რომელიც შეიცავს საქართველოსა და ქართველი ერის სამოქმედო, მისი ნიჭის გამოსამჟღავნებელ ერთ მთლიან სარბიელს.

განა ქართველობას ცოტა არსებითი ინტერესები აქვს ბაქოსა და ბაქოს გუბერ[illegible]თა ღვაწლი კასპიის ნაპირებზე ძლიერ ტლლღათ არ უნდა ერთვოდეს მთელი ერის კულტურულ საქმიანობას?

დიაღ, ქართველ მოქალაქეთა წრე სავსებით გრძნობდა, რომ მისი სამოქმედო ასპარეზი ორივე ზღვის კიდეებზეა და თავის სამოქმედო ასპარეზათ სამართლიანადაც აირჩია ის არე, რომელიც შეადგენს მთელი ქართველი ერის ინტერესთა სფეროს: მოქალაქეთა წრე გამოდიოდა იმ საღ მოსაზრებიდან, რომ ახლად დაარსებულ ბანკს უნდა შემოეფარგლა ქართველთა საქმიანობის, ვაჭრობა-მრეწველობის ყველა ის პუნქტი, რომელიც მოთავსებულია ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულში.

სრულიად კავკასიის ბანკის მიერ შემოფარგლული არე სავსებით ფარავს ქართველი ერის კულტურულ მესვეურობის სივრცეს რა გასაკვირველია, რომ უზომოდ დევნილმა ქართველმა ვაჭარ-მრეწველთა წრემ სიამოვნებით მიიღო მეზობელ ერის მიერ მეგობრულათ გამოწვდილი ხელი დასახმარებლად ისეთი დიდი ბანკის დაარსება-გაძლიერებაში, როგორიც უნდა იყოს სრულიად კავკასიის ბანკი?

საკვირველი ის არის, რომ უცხო ერთან ასეთს მეგობრულ თანამშრომლობას უსაყვედურებს ჩვენს ვაჭარ-მრეწველთა წრეს სოციალისტთა და ფედერალისტთა ორგანოს მეთაური.

## ქართული პრესა.

„სახალხო ფურცელმაც“ ქუთათური „მეგობარივით“ იკლიკანტობა დაიწყო და იმის მაგიერ, რომ პირდაპირ და გადაჭრით დაგმოს ბ-ნ დათეშიძის არასაკადრისი საქციელი, მის „თავის მართლებას“ უფრო დიდ ყურადღებას აქცევს და, ეყრდნობა რა ბ-ნ დათეშიძის მიერ მოხერხებულად გადაგდებულ ანკესს (ძაღლის თავი სულ სხვაგან არის დამარხულიო) — ასეთს, სწორედ რომ იეზუიტურ დასკვნას აკეთებს:

გამოდის, თითქოს სხვა რაღაც, ამ საქმესთან პირდაპირ არ დაკავშირებული მიზეზით გაუვრცელებიათ ხმა ბ ნ რაჟდენ დათეშიძის შესახებ და ისიც მახლობელ მეგობრებს. ჩვენ ეს გარემოება უფრო მეტად გვაოცებს, ვიდრე თვით ხმა, გავრცელებული ბ-ნ რაჟდენ დათეშიძის შესახებ. ნუ თუ ქართულ გაზეთებში გამოერია ისეთიც, რომელიც რაღაც იდუმალი მოსაზრებებით ხელმძღვანელობს მაშინ, როდესაც ამა თუ იმ პირის შესახებ ხმებს ავრცელებს? ესეც დიდი უცნაურობაა.

„უცნაურობა“ ის კი არ არის, რომ ბ-ნ რ. დათეშიძე თავის ანკესით სახედრის ბაგაზე აბავს „სახალხო ფურცელსაცა“ და „მეგობარსაც“, უცნაურობა ის არის, რომ ამ გაზეთებმა ერთი წუთითაც კი [illegible] ჩვენი განცხადების უანგარობაში. ალბად თითონ თუ იოჯეიიათ ხოლმე ნათლიმამობითა თუ ქვენაგრძნობობით

ჩვენ საჯაროთ მოვითხოვთ „მეგობარსახალხო ფურცლის“ რედაქციებიდან უკანვე წაიღონ თავისი სიტყვები და ეჭვები!

ჩვენ ერთხელ კიდევ საჯაროთ მოვითხოვთ ბ-ნ რაჟდენ დათეშიძისაგანაც პირდაპირ, გადაჭრითა სთქვას „სად უმარხია მას ძაღლის თავი!“ ან რად დასჭირდა ასეთი ოინები, როცა სრულიად დამშვიდებულის სინიდისით გადასცემდა აჭარის მამულებს სომეხ მოიჯარადრეებს, თუ ჩვენ დროზე არ გაგვეგო მისი მაქინაციები და განგაში არ აგვეტეხნა.

რაც შეეხება ჩვენ მეგობრობას ბ-ნ დათეშიძესთან, რომელ[illegible] ფედერალისტთა [illegible] ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვმეგობრობთ ხოლმე იმათ, ვინც ღირსია მეგობრობისა და ღირსეულადაც ატარებს იდეას საქართველოს სამსახურისას, ხოლო თუ ეს მეგობარი თვალთმაქცი გამოდგა, ანგარიშსაც მოვთხოვთ.

ნათლიმამობა და მეგობრის ცოდვების გადაფუჩეჩება თქვენთვის დაგვილოცნია ქ ნო „სახალხო ფურცლის“ რედაქციავ!

## საბოდიშო ბარათი*).

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბ. იაკობ თომას ძევ

თანახმად ქართული გაზეთის „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის მოთხოვნილებისა, მაქვს პატივი სრულის შეგნებით აღვიარო, რომ ჩემის რედაქტორობით გამოცემულ გაზეთის „კუტაისკია ვესტის“ 12 ივნისის თარიღის № 252-ში სარედაქციო წერილის —„მორიგი პასკვილი“-ს მოთავსების შესახებ, რომელშიდაც „სამშობლო“-ს კოლეგიამ თავის შეურაცხყოფა დაინახა, გულწრფელად ვსწუხვარ და ამის გამო პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის წინაშე უღრმეს ბოდიშს ვიხდი. ეს წერილი უნდა გამოქვეყნდეს შემდეგ გაზეთებში: „კუტაისკია ვესტში“, „სამშობლოში“, „საქართველოში“ და „ზაკავკაზსკაია რეჩში“.

„კუტაისკია ვესტის“ რედაქტორი—**ზერ. მელიქ ავაკოვი.**

*) ეს საბოდიშო ბარათი მივიღეთ „კუტაისკია ვესტის“ კვირის ნომერში დასტამბულ წერილის გამო, რომელშიაც ფრიად უღიერად იყო მოხსენებული მთელი ქუთაისის ქართველი საზოგადოება და გაზეთ „სამშობლოს“ გარშემო მომქმედი ჯგუფი, რისთვისაც ჩვენმა რედაქციამ ასეთი გადაჭრილი ბოდიში მოსთხოვა „კუტ. ვესტის“ რედაქციას.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ორშაბათს, 13ივნისს, ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში ბ-ნ ს. ი. ხეჩინოვის თავჯდომარეობით შესდგა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ ღარიბ სტუ-

## წერილი მეოთხე.

**(პოლიტიკური მოძრაობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს).**

(დასასრული იხ. „სამ.“ № 378.)

არა თუ 1791 წლის კონსტიტუციის დროს, არამედ მეფობის უკიდურესი ძლიერების დროსაც კი არ ყოფილა საფრანგეთში მმართველობის ისეთი ცენტრალიზაცია და გაერთიანება, როგორიც 1793 და 1794 წლებში იყო. ეს იყო გამარჯვება ცენტრალისტურის, უნიტარულის, და მაშასადამე მონტანიარული მოძრაობისა ფედერალისტურზე, ე. ი. ჟირონდისტულზე და აქედან დაიბადა ერთგვარი პოლიტიკური სისტემა, მშვენიერად მომარჯვებული სამხედრო საჭიროებასთან, მაგრამ იმავე დროს უარმყოფელი თვითმართველობისა და პიროვნების თავისუფლებისა. როგორცა ვთქვით, პირველი პრეფექტები, გუბერნატორები, ან წარმომადგენელნი, ცენტრალური მთავრობისა იყვნენ კონვენტის დეპუტატები კარნო, სამხედრო საქმეების გამგე, გენიალური ორგანიზატორი. 12 ჟერმინალს II წლისა (1 აპრილს 1794 წ.) კონვენტის წინაშე ასე ახასიათებდა ხსენებულ ემისარებს: „როდესაც ემისარი სადმე გაჩნდება, ადგილობრივი მართებლობის მოხელეებს ყოველივე ენერგია და ხალისი ეკარგებათ და მხოლოდ ემისარს შეჩერებიან, რომელზედაც ყველაფერი ჰკიდიათ. რასაკვირველია, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ბოლოს კონვენტმაც იგრძნო უკიდურესი ცენტრალიზაციის ნაკლულევანება და თავისი ემისარების ნაცვლად დეპარტამენტებში ეგრეთწოდებული საერო აგენტები დანიშნა, რომელთაც უფრო გარეშემოწერილი უფლება ჰქონდათ.

მესამე იარაღი რევოლუციური მართებლობისა იყვნენ სადეპარტამენტო, საოლქო და საქალაქო და ან, უკეთ ვთქვათ, მუნიციპალური თვითმართველობანი. სადეპარტამენტო თვითმართველობანი წინააღმდეგი იყვნენ უკიდურესი ცენტალიზაციისა, მაგრამ იმავე დროს არა თუ ხელს არ უწყობდენ, არამედ ხელს უშლიდენ რევოლუციის განვითარებას. კონვენტში ჟირონდისტების დამარცხების შემდეგ მათ ეგრეთწოდებული ფედერალისტური აჯანყება გამოიწვიეს და, როდესაც დამარცხდენ, მეორეხარისხოვანი საქმეების გამგეობა-ღა შეირჩინეს (4 დეკ 1793 წ. ან 14 ფრიმ. II წ. დეკრეტით). საოლქო თვითმმართველობათ ხომ კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ.

საქალაქო, ე. ი. მუნიციპალურ თვითმართველობათ კი ისეთივე რევოლუციური როლი აასრულეს, როგორიც თვით კონვენტმა შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულმა თვითმართველობებმა, ან კომუნებმა, განავითარეს რევოლუცია, გაალონიერეს რევოლუციური მთავრობა და განამტკიცეს დემოკრატიული რესპუბლიკის იდეა დეპარტამენტებში კონვენტის ემისარები მათთან ინაწილებდენ უფლებას, პარიზში კი საქალაქო თვითმართველობის მნიშვნელობა და გავლენა თვით საერო კონვენტის მნიშვნელობასა და ძალას ეცილებოდა

დემოკრატიული საქალაქო თვითმართველობა, ანუ კომუნა, უფრო ცოცხალი რევოლუციური ძალა იყო, ვიდრე საერო კონვენტი და სარევოლუციო ინიციატივა უფრო მას ეკუთნოდა, ვიდრე კონვენტს. პარიზის კომუნამ აალელვა ხალხი და აალებინა ბასტილია (14 ივლ. 1789 წ.) და პარიზის კომუნამვე აიძულა კონვენტი გაეუქმებინა მეფობა (10 აგვ. 1792 წ.), მაშასადამე კომუნები, საქალაქო თვითმართველობანი, წარმოადგენდენ რევოლუციურ ბიძგს, რომელიც წინ მიაქნებდა კონვენტსა და მთელ საფრანგეთს.

მაგრამ მეორე მხრით კონვენტი საფრანგეთის გაერთიანების იდეის განმსახიერებელი დაწესებულება იყო, რომელსაც კომუნები აღიარებდენ ამიტომ პარიზის კომუნა, რომელმაც უდიდესი რევოლუციური როლი აასრულა, კონვენტის უზენაეს უფლებას მაშინაც კი აღიარებდა, როდესაც მას ტყვევებდა და თავის გადაწყვეტილებათ აღებინებდა. კომუნას უნდოდა, ერთიმხრით, კონვენტი მისი სურვილების ამსრულებელი ყოფილიყო და, მეორე მხრით, თავისი განზრახვანი კონვენტის სანონმდებლო დეკრეტებით (დადგენილებით) განემტკიცებინა. ამგვარს შინაგანწინააღმდეგობით სავსე პოლიტიკას კი ზედგად—კონვენტის უკიდურესი გაძლიერება მოჰყვა. რომელსაც სხვერპლად შეწირა, როგორც პროვინციებისა, აგრეთვე პარიზის საქალაქო თვითმართველობა დამარცხება. როგორცა ვთქვით, საქალაქო თვითმართველობათა დამორჩილებ პროვინციებში ფედერალისტების აჯანყის ჩაქრობის შემდეგ უკიდურესობას მიაღწია. და იგივე ბედი ეწია ბოლოსბოლოს პარიზის კომუნასაც (8—9 თერმიდორს II წლისა, ანუ 25—26 ივლისს 1794 წ.).

ამგვარად ინიციატივისა და ცენტრალიზაციის ბრძოლაში—მეორე პრინციპმა გაიმარჯვა და სანახევროდ მაინც ბოლო მოუღო იმას, რაც პირველმა შექმნა, ე. ი. პიროვნების ხელშეუხებლობასა და თავისუფლებას.

ერთერთს უმთავრეს რევოლუციურ იარაღს წარმოადგენდენ აგრეთვე ეგრეთ წოდებული სახალხო კლუბები და რევოლუციური კომიტეტები. ხსენებული კლუბები—ჯერ თავისუფალი საზოგადოებანი იყვნენ, რომელთაც მიზნად—რევოლუციის მიერ წარმოშობილი კონსტიტუციის განმტკიცება ჰქონდათ. მათ შორის ცოტა იყო ჟირონდისტიული, უდიდესი ნაწილი კი—იაკობელებისაგან შესდგებოდა. კლუბები ეხმარებოდენ კონვენტის წარმომადგენლებს საკომუნო თანამდებობის პირთა არჩევაში და ყველა რევოლუციურ საქმეში. ერთი სიტყვით კლუბები—ცენტრალური რევოლუციური მოძრაობის განმავრცელებელი იყვნენ და რესპუბლიკის გაერთიანებას ხელს უწყობდენ.

რაც შეეხება რევოლუციურ კომიტეტებს, ისინი თავისით კი არ გაჩნდარან, არამედ კონვენტის მიერ იქმნენ დაწესებული (21 მარტ. 1793 დეკრეტით). ამ დეკრეტის ძალით თვითეულ კომუნას უნდა აერჩია 12 კაცი (აზნაურთა და სასულიერო პირთა გამოკლებით), რომელთაც ჰქონდათ უფლება თვალი ედევნებიათ უცხოელთათვის და დაეპატიმრებიათ საეჭვო პირები.

რევოლუციური კომიტეტები ხშირად ბოროტად ხმაურობდენ თავის უფლებას და უსინდისო პირების გავლენით პატიოსან მოქალაქეთ სდევნიდენ. ამიტომ 14 ფრიმერიდან II წლისა (4 დეკ 1783 წ.) მათ უკვე უფრო ხშირად კონვენტის წარმომადგენელნი ან თვთ საზოგადოების ხსნის კომიტეტი აირჩევდენ.

სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის გაძლიერებას ხელი შეუწყო კონვენტის დადგენილებამ (14 ფრიმერს II წლისა, ან 4 დეკ. 1793 წ.), რომელმაც გააუქმა ხალხის მიერ არჩეული სადეპარტამენტო გენერალური პროკურორსინდიკები და პროკურორები და დააწესა მათ მაგიერ კონვენტის მიერ დანიშნული საერო აგენტები, როგორც ცენტრალური მართებლობის წარმომადგენელნი, მთელი აღმასრულებელი უფლება საზოგადოების ხსნისა და საზოგადო მშვიდობის კომიტეტებს გარდასცა და კანონების გამოქვეყნება მოაწესრიგა.

და, როდესაც 12 ჟერმინალს II წლისა (1 აპრ. 1794 წ.) აღმასრულებელი საბჭო გაუქმდა და მისი მოვალეობა მთლად საზოგადოების ხსნის კომიტეტს გადაეცა, სახელმწიფოებრივი მექანიზმის ცენტრალიზაციამ თითქმის სისრულემდის მიაღწია.

საშინელ იარაღს წარმოადგენდა რევოლუციურ ორგანიზაციათა ხელში აგრეთვე შეშინების, ტერრორის, სისტემა.

10 აგვისტომდის 1792 წლისა რევოლუცია ცდილობდა შეანეწყვრებია ახალი მართველობა თავისუფლებისა და კანონიერების საფუძველზე.

10 აგვისტოდან კი შეაჩერეს 1789 წლის რევოლუციის ძირითადი პრინციპების მოქმედება და მოიხმარეს ძალადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენტთა დამხმარე საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებამ დაამტკიცა გამგეობის წარსული წლის ანგარიში და მომავალის ხარჯთ აღრიცხვა და გამგეობაში ამოირჩია შემდეგი პირნი: ელ ნ. ხეჩინოვისა, ს. ი ხეჩინოვი, გუბერნიის ექიმი ს. ტერტეროვი, ი. თ. ცინცაძე, ს. ე წერეთელი, არონ ელიგულაშვილი, შიმშონ იაკობიშვილი, ა. ბ. გიგინეიშვილი (მდივნათ) და დ. პ მაჭავარიანი (ხაზინადრად). სარევიზიო კომისიაში ივ. პურადაშვილი და ფ. ჯაყელისა

დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხა და გამგეობას და განსაკუთრებით გამგეობის თავჯდომარეს ქ ნ ელ. ხეჩინოვისას, რომელიც ტაშის ცემით დააჯილდოვეს

◆ ვლადიკავკავიდან ზაიცევი დეპეშით ქუთ. გუბერნატორს შემდეგს ატყობინებს: 7 ივნისს დ. ზესტაფონს 6 ვაგონი სიმინდი გამოიგზავნა და 16 ივნისს მიიღებთო ამასთანავე ატყობინებს, რომ ივნისის განმავლობაში თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიის სხვა და სხვა პუნქტში 240 ვაგონი სიმინდი გამოიგზავნებაო.

◆ ქუთ სათავად აზნაურო ბანკის გამგეობა ატყობინებს გუბერნატორს, თანახმად მისი თხოვნისა, რომ ნიგოეთის საზოგადოებაში (ოზურ. მაზ.) ბანკს ადგილი დაგირავებული არ აქვსო.

◆ 13 ივნისს, საღამოს, რუბანის ქუჩაზე ერმალო ნიკოლოზის ძე გოგავას სახლში, მის გარეთ ყოფნის დროს, შეიჭრა ბოროტგამზრახველი და მოჰპარა სხვადასხვა საოჯახო ავეჯეულობა ღირებული 100 მან. ქურდი შეუმჩნევლათ მიიმალა.

◆ ქალაქის თვითმართველობამ 12 ივნისს მიიღო ქ. ფოთიდან რვა ვაგონი პურის ფქვილი, რომელიც დაურიგეს ადგილობრივ მეფურნეებსა და მეთორნეებს.

◆ 11 ივნისს დაიწყეს ქალაქის თეატრის შეკეთება, ამის გამო წარმოდგენები დროებით შეწყვეტილ იქნება.

◆ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის რწმუნებულმა სთხოვა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას, რომ აცნობოს მას, თუ რამდენი საწოლი იყო მიმდინარე წელში ჯარის კაცებისათვის და თითოეულზე რამდენი იხარჯებოდაო. ამის შესახებ ქალაქის თვითმართველობა აცნობებს რწმუნებულს, რომ ასეთი ლაზარეთები ქუთაისში არ მოგვეპოვება და ამიტომ ვერავითარ ცნობას ვერ მოგცემთო.

ქუთაისის ქალაქის თავმა ბ. ილია მანუჩარის ძემ ჩიქოვანმა ჩვენ ნიჭიერ და გამოჩენილ დრამატურგისაგან თ დ სუმბათაშვილისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „დიდათ ნასიამოვნები ვარ თქვენი ძვირფასი მი ლებით. გთხოვთ მიიღოთ ჩემი გამოუთქმელი მადლობა, დიდათ პატივცემულო ილია მანუჩარის ძევ, და თქვენის პირით გადასცეთ უმშვენიერესს ქუთაისს.

◆ ამ ჟამათ ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის პარკი ფასობს: 1—ხარისხის 32 მ, მე 2-რე ხარისხის 30 მ., მე 3-მე ხარისხის 28 მან.

◆ ორშაბათს, 20 ივანობისთვეს, სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების მთავარგამგეობის მიერ სათათბიროდ მოწვეული არიან ხსენებული საზოგადოების ფილიარულ განყოფილებათა თავჯდომარენი.

◆ რუსეთის სასოფლო ეკონომიური სასტატისტიკო კომიტეტი სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს, შეატყობინოს ლარჩვის სამეურნეო ამხანაგობის მოქმედებების ანგარიში

◆ თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მთავარი უფროსი ატყობინებს ქუთ. გუბერნატორს, რომ 6 იანვრიდან დ. სუფსაში (ოზურ. მაზ.) ადგილობრივ ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებაში გაიხსნა სახელმიფო ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველი კასა.

◆ გამოიცა 1916 წლ. 2 ივნისის თარიღით ახალი ცირკულიარი, რომელიც შეეხება სატუსაღოებში წესის შეცვლას და ტუსაღთა მდგომარეობის შემსუბუქებას.

◆ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის მცხოვრებმა სალომია ჩიქოვანმა და მარიამ ინაკავაძემ, რათა მათ ნება დართოს მიიღონ პირველმა კათოლიკეთა, ხოლო მეორემ გრიგორიანთა სარწმუნოება.

◆ ზესტაფონის ბოქაულად დანიშნა ამავე რაიონის ბოქაულის თანაშემწე კალისტრატე აფაქიძე

◆ ქუთაისის სამთო უბნის ბოქაული სტეფანე გოგია გადაიყვანეს ქ. ფოთს პირველი უბნის ბოქაულად მის ადგილზე დაინიშნა ოზურგეთის ციხის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბოლდასაროვი

◆ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მე 8 და მე 6 კლასში გამოცდები უკვე დასრულდა. გამოცდებმა კარგათ ჩაიარა.

◆ ქუთ საკრედიტო ამხანაგობამ ამ ჟამათ საკმაო გოგირდი მიიღო. შაბიამანს ამ დღეებში მოელიან.

◆ ქართველთა შ. წ. კით. გ. საზ. მთავარ გამგეობას თბილისის გუბერნატორმა ნება დართო დ. ჩოხატაურში გახსნან საზოგადოების ფილარმონიული განყოფილება.

◆ სასურსათო საქმის მომწყობი კომიტეტის რწმუნებული შაშკოვსკი სთხოვს ქუთ. გუბერნატორს შეატყობინოს რამდენი ქარხანა არის გუბერნიაში, სადაც ამზადებდენ ლუდს, კვას და სხვა, ამასთანავე რამდენი შაქარი არის საჭირო თვიურათ გუბერნიისთვის.

**სოფლად.**

ს. ფუთში (შორ. მაზ.) თ. სიმონიშვი-

ლის მოჯამაგირე ზაიბეკ ბოგოურის 13 წლ ბიჭს როდესაც მინდორზე ძროხას აძოვებდა, ბაწრით ეშმაკობა დაუწყია. ძროხა გაქცეულა, ბავშვი ბაწარზე მიმბული ყოფილა, უთრევია ძროხას და მოუკლავს.

ნავარევის მღ. სამსონ ბურჯანაძეს თავს დაესხენ ავაზაკები და მოსთხოვეს ფული. როდესაც მასპინძელს უარი უთქვამს, ავაზაკებს გაუჩხრეკიათ სახლი და წაუღიათ 350 მანეთამდე. პოლიციამ ეჭვით შეიპყრო რამდენიმე კაცი.

— ქუთაისის მაზრის უფროსი ატყობინებს გუბერნატორს, ქვანახშირის მაღაროებში მომუშავე ოსმალო 6 ტყვე გაიქცაო.

— 5 ივნისს ს. გეჯეთის (შორ. მაზ.) მცხოვრებს ტრიფონ ალასონიას თავს დაესხენ ავაზაკები და წაართვეს ცხრა თუმანი.

— ხორგინის (ზუგ. მაზ.) მცხოვრებ. შუამოგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე ნება დართოს გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „ნაბიჯი“.

— ს. სახარებედავოში (ზუგ მაზ.) დარაჯებმა სასიკვდილოთ დასჭრეს დეზერტირი ლუკა ეჯიბია, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ გადიცვალა.

— ს. ცაიშში (ზუგ. მაზ). გუჯუ შამუგიას ეზოში მეზობელმა ვლადიმერ უბილავამ და ბარ. შამუგიამ ცეცხლი შენიშნეს როდესაც მივიდენ, ნახეს გუჯუ შამუგია 60 წლის მოხუცი ჩამოკიდებული იყო ბაწრით ხეზე გამოირკვა, რომ მკვლელობა ჩაუდენიათ მის ახალგაზდა 16 წ. ცოლს ელიკოს და ქალის საყვარელს აბრამ ჩითანავას.

— —

**ჩვენი ფოსტა.**

**ზესტაფონი. ბ ნ ნიკო ბერიძეს.** თქვენი წერილი მეტად კერძო ხასიათისაა. შეუმოკლებლივ ვერ დავბეჭდავთ

— —

**მოწერილი ამბავი.**

— დ. ჭიათურა ადგილობრივ ფქვილის ვაჭარს მიხეილ ლომაძეს სამადნო ბოქაულმა ს. შენგელაიამ უნახა გადამალული ფქვილი. როგორც გამოირკვა, ეს ვაჟბატონი თურმე დღისით აიღებდა ფულს თითო ტომარში 30 მანეთს და ღამით თავისი ბიჭის ხელით უგზავნიდა მეპურეს. ამას წინად ლომაძე გაჩხრიკეს და მას აღმოაჩნდა 17 ფუთი საპონი, მაშინ როდესაც ჭიათურაში საპონი არ იშოვებოდა. პოლიციამ ლომაძეს ოქმი შეუდგინა ქუთ. გუბერნატორს გადასცა. ქუთაისის გუბერნატორმა ლომაძეს სამი თვით ციხეში დატუსაღება გადაუწყვიტა.

## ქუთაისის სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.

საქართველო ერთი უძველესი ქვეყანაა. ევროპის ქვეყნებს შორის, გარდა ძველი რომისა და ათინისა, მას, ამ მხრით, ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება.

თავის ხანგრძლივ არსებობის ჟამს, ჩვენს დამაზ სამშობლოს მწუხარება უფრო მეტი უნახავს, ვიდრე სიხარული. მიუხედავათ იმისა, საქართველოსაგან განვლილი გზა დიდათ დირსშესანიშნავი ამბებით არის აღბეჭდილი. ის უსულო საგნები, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენ დაგვიტოვეს, მაგალითად, ეკლესიები, ციხე-კოშკები, ხელოვნურად ნაკეთობი და მიუვალ ადგილას გაყვანილი გზები ჩვენი ქვეყნის მტრებისა და ჟამთა ვითარების გამო ბევრგან ძალზე გაფუჭებული და დაზიანებულია, მაგრამ რაც დარჩენილია, ისიც ნათლად დაღადებს ქართველი კაცის ნიჭის სიდიადეს.

ყველა თვალხილულ ჩვენ სიძველეს მოვლა და პატრონობა უნდა. ქართველობა რომ ადრიდანვე ცდილიყო და თავის სიძველეთა დაცვისათვის რიგიანად ეზრუნა და ამ ასპარეზზე შესაფერისი ფეხი გამოეჩინა, ჩვენი ეხლანდელი მტრები ისე უზრდელად ვერ მოექცეოდენ ჩვენ სიძველეთა და ეკლესია„ მონასტრებს, როგორც დღეს ექცევიან.

ხომ გაგვიგონია „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო“—სწორეთ ასე მოუვიდა ჩვენ ისტორიულ განძეულობა' ნც.

სასიხარულოდ ჩვენდა, თუმცა გვიან, ქართველმა ერმა მაინც გამოიღვიძა და თვალხილული ძველი ნაშთების მოვლა-პატრონობა იკისრა და ახალი ძებნას შეუდგა. ამ მხრით, ქუთაისის ნორჩს სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება სასურველი და სასარგებლო ნაყოფი მოაქვს. სულ ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც ეს საზოგადოება არსებობს და ამ მოკლე დროის განმავლობაში ფართო, შეგნებული საზოგადოების, სიმპატია დაიმსახურა თავისი ენერგიული მოქმედებით.

ამ საზოგადოებას ბევრათ მეტის გაკეთება შეუძლია იმისთანა პირები უდგია სათავეში, მაგრამ უსახსრობა უშლის ხელს, ერთადერთი მისი არსებობის წყარო საწევრო შემოსავალია. ქართველებო, თუ თქვენ ქართველობას პატივს სცემთ და კიდეც ამაყობთ მითი, ჩაეწერეთ წევრათ აღნიშნულ საზოგადოებაში.

მ. ბუაჩიძე

## კრება

დ. კლდეშვილის სახელობის სამკითხველოს წევრთა.

კვირას, 12 ივნის, საფ. სამრევლო სკოლის შენობაში, მ პატარიძის თავჯდომარეობით, შესდგა ხსენებული სამკითხველოს საზოგადო წევრთა კრება.

გასარჩევი საკითხი იყო: ა) გამგეობის მოხსენება და დამტკიცება როგორც წარსული, ისე მომავალი საანგარიშო წლის ხარჯთაღრიცხვა; ბ) გამგეობის წევრების შევსება და დ) სამკითხველოსათვის შენობის შეძენა.

გამგეობის თავჯდომარემ ა. ნიშნიანიძემ წაიკითხა ვრცელი ანგარიში ამ სამკითხველოს დაარსების შესახებ: თანახმათ მოცსენებისა, სამკითხველო წევრების შეძენის მხრით კარგ მდგომარეობაშია და საწევრო ფულით თამამად შეიძლება სამკითხველოს შენახვა. საანგარიშო წლის განმავლობაში სამკითხველოს ჰყოლია 15 ათასი მკითხველი. მთელი წლის განმავლობაში საწევრო ფული შემოსულა სამას მანეთზე მეტი და შემოწირულება სხვადასხვა კერძო პირიდან 88 მ.

კრებამ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა და მადლობა გამოუცხადა გამგეობას მუყაითი შემუშაობისათვის.

კრებამ საჭიროთ სცნო გამგეობის გარდა სამკითხველოს ყოლოდა სამზრუნველო კომიტეტი, რომელიც დიდ დახმარებას აღმოუჩენდა სამკითხველოს ნივთიერი საშუალების შესაგროვებლად. კრებამ გამგეობაში, ძველ წევრებს გარდა, ამოირჩია ქ-ნ ქ. მარუაშვილისა და ბ ნი რატიანი. კანდიდატებათ: ქ-ნი ქ. ბაქრაძისა, ბ. ბრეგაძე, ბ-ნი ოყრეშიძე, ბ-ნი ქართველიშვილი. სამზრუნველო კომიტეტში: იონა კემულარია, გიგაშვილის ასული. ქ-ნი ს. აბულაძისა, ქ-ნი ა. ჭუმბურიძისა და მ. დეისაძე.

სარევიზიო კომისიაში, ძველებს გარდა, ამოირჩიეს პ. ბაქრაძე.

კრებამ სამკითხველოს შენობის შეძენისათვის ამოირჩია კერძო კომისია და დაავალა აღმოაჩინოს შენობა და საშუალება მის შესაძენათ კერძო კომისიაში არიან: პორუჩიკი ვ. ჟღენტი, ე. პატარიძე და ა. დალაქიშვილი.

## წერილი საჩხერ-დან

იმ საშინელი ცეცხლის შესახებ, რომელმაც წალეკა საჩხერის ებრაელები, შემიძლია კიდევ შეგატყობინოთ შემდეგი.

დანამდვილებით გამოირკვა, რომ ცეცხლმა შთანთქა 100 მოსახლე ებრაელი. დახმარების აღმოჩენაზე უკვე ზომებია მიღებული.

საჩხერის მცხოვრებლებთა შორის უკვე შეუდგენ ფულის მოკრეფას მათ სასარგებლოთ.

როგორც სჩანს, საჩხერლები თავის მოვალეობას ასრულებენ და თავის წვლილს იღებენ გაჭირვებულ ებრაელთა დასახმარებლათ.

ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოთ წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენას ხალ

---

ბითი საშუალებანი რევოლუციის მტრების საწინააღმდეგოდ. ამას ეწოდება ტერრორი, რომლმაც მიაღწია უკიდურესობას ავგისტოსა და სეკტემბერში 1793 წ, როდესაც საფრანგეთს მტერი შემოესია ელზასში და პირენეეში, ლიონი აჯანყდა, ტულუზა დანებდა ინგლისელებს (28 ავგ. 1793 წ) და პარიზს შიშილი ემუქრებოდა. სწორედ ამ დროს შევიდა ხმარებაში სიტყვა ტერრორი

სიტყვის თავისუფლებაც მხოლოდ 10 ავგისტომდის 1792 წ. იყო. 10 ავგისტოს შემდეგ კი პარიზის რევოლუციურმა კომუნამ აკრძალა მეფობის აღმსარებელი გაზეთები. 4 დეკემ. 1792 კონვენტის მიერ გამოცემული კანონით სიკვდილით უნდა დასჯილიყო, ვინც კი მიწის საერთო მფლობელობას იქადაგებდა და კერძო საკუთრებას უარჰყოფდა, სახალხო წარმომადგენლობის დათხოვნას მოითხოვდა და სხ.

31 მაისამდის 1793 წ. როიალისტებისა და სოციალისტებისათვის აღარ იყო პრესის თავისუფლება. 31 მაისიდან 1793 წლისა 26 ივლისამ. 1764 წლისა კი ჟირონდისტების გაზეთები იძულებული იყვნენ გაჩუმებულიყვნენ, რადგან, ვინც კი ჟირონდისტურ პოლიტიკას აღიარებდა, მას, როგორც შეთქმულს, რევოლუციური ტრიბუნალი (სასამართლო) ასამართლებდა. კანონი „საეჭვო პირთა“ შესახებ პირდაპირ ახსენებდა დანაშაულობას საეჭვო თხზულებათა გამო.

როდესაც 1793 წლის გასულს განხეთქილება ჩამოვარდა თვით მონტაჟარებს შორის, პრესაში სამი მიმართულება ებრძოდა ერთმანეთს: რობესპიერისა, დანტონისა და და ჰებერისა. მაგრამ, როდესაც ჰებერი და დანტონი სიკვდილითი დასაჯეს, პრესა მშიშარა, მონური შეიქნა, და მთავრობის წინააღმდეგ წერას თითქმის ვეღარავინ ვეღარ ბედავდა. (ჰებერი და მისი ამხანაგები დაატუსაღა კონვენტმა 9—14 მარტს 1794 წ. და 24 მარტს მათ გილიოტონით მოჰკვეთეს თავები; დანტონი და მისი ამხანაგები დაატუსაღა კონვენტმა 20 მარტს 1794 წ. (10 ჟერმინალს II წლისა), გაასამართლეს (2—5 აპ. 1794 წ. (13—16 ჟერმინალს) და სიკვდილით დასაჯეს 5 აპრილს 1794 წ. (16 ჟერმ.)

დანტონის სიკვდილით დასჯის შემდეგ აღარც სიტყვის თავისუფლება ყოფილა. კლუბებში და სხვა კრებებზე ორატორებს მხოლოდ მთავრობის პოლიტიკის მოწონების უფლება ჰქონდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში „საეჭვოებად“ შეირაცხებოდენ და განსაცდელში ჩავარდებოდენ. თვით კონვენტშიაც კი აღარ სუფევდა აღარც სიტყვის თავისუფლება და აღარც ხმის მიცემის თავისუფლება. და ეს დაწესებულება, რომელიც მთელ ევროპას შიშსა გვრიდა, თვითონ რობესპიერისა და თავისი ორი კომიტეტის წინაშე ძრთოდა.

გაუქმდა აგრეთვე სარწმუნოების, ე. ი სინიდისის, თავისუფლება.

პიროვნების ხელშეუხებლობისა და თავისუფლების ეს შემავიწროებელი ზომები სხვათა შორის იმასაც მიეწერება, რომ ეშინოდათ ემიგრანტების, ან გადახვეწილების, რომელნიც მტერს ეხმარებოდენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მოქალაქე ტყვილა უბრალოდ, უსამართლოდ ჩათვალეს საეჭვო ემიგრანტებად. მაგალითად 30 მარტ.—8 აპრ. 1792 წ. კანონით ემიგრანტად ითვლებოდა 14 წლისაზე უხნესი ყველა მოქალაქე, რომელიც 1 ივლისის 1789 წ. შემდეგ საფრანგეთიდან გავიდა და 9 მაისამდის 1792 წ. სამშობლოში არ დაბრუნებულა, ან ის მოქალაქენი, რომელნიც 9 მაისის 2792 წ. შემდეგ საფრანგეთიდან ნება დაურთველად გავიდენ (ნება-რთვა კი მარტო ვაჭრებსა და მრეწველებს ეძლეოდათ).

28 მარტის 1793 წ კანონით ყველა ემიგრანტს სიკვდილი ქონდა გადაწყვეტილი და მისი ქონება სახელმწიფოს საკუთრებად უნდა შერაცხილიყო. და, თუ კი ორი მოწმე ვისმე ემიგრანტად აღიარებდა, საკმაო იყო, რომ სამხედრო სასამართლოს 24 საათის განმავლობაში გაესამართლებია და სიკვდილით დაესაჯა.

ემიგრანტების სიის შედგენა ჰქონდათ დავალებული მუნიციპალიტეტებს (საქალაქო თვითმართველობათა). სიაში ხშირად მაბეზღართა მოწმობით უდანაშაულონი იწერებოდენ. სიაში ჩაწერილს შეეძლო მოეთხოვა ერთი თვის განმავლობაში მისი სახელის ამოშლა, მაგრამ, ჯერ ერთი, ბევრმა არც კი იცოდა, იყო თუ არა ჩარიცხული ემიგრანტად, და, მეორე, რომ ამოეშალათ, საჭირო იყო წარედგინა რვა კაცისგან ხელმოწერილი კეთილსაიმედოების მოწმობა; ამგვარი მოწმობის შოვნა კი ძნელი იყო, რადგან სიკვდილი ემუქრებოდა ყველას, ვინც კი ემიგრანტს დაეხმარებოდა და იპატივებდა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი რევოლუციური იარაღი. 9—10 მარტს 1793 წ, რადგან ბელგიის ჯარის დამარცხების ამბავი მოვიდა. პარიზის ხალხი აჯანყდა და ბევრმა სექციამ მოითხოვა რევოლუციური ტრიბუნალის დაარსება. და 10 მარტს 1793 წ. დანტონის წინადადებით დაარსდა ამგვარი ტრიბუნალი, რომელსაც უნდა გაესამართლებია საეჭვო მოქალაქენი და რომელსაც 29. ოკტომბ. 1793 წ. ოფიციალურად რევოლუციური ტრიბუნალის სახელი დაერქვა. ამ სასამართლოს წევრები კონვენტის მიერ იყვნენ არჩეული

ამ ტრიბუნალმა, მართალია, ჯერ რევოლუციის მტრები დასაჯა, მაგრამ შემდეგ რობესპიერის იარაღად გადაიქცა და თვით რესპუბლიკელებზე, ჰებერტისტებსა და დანტონისტებზე, აღმართა მახვილი, მაშასადამე მოსჭრა ის ტოტი, რომელზედაც თვითონ ეკიდა. და $14^1/_2$ თვის განმავლობაში 2,586 კაცი დასაჯა სიკვდილით, რომელთა შორის ბევრი უდანაშაულო იყო.

როგორცა ვთქვით, რევოლუციური ტრიბუნალი რობესპიერის ხელში შურისძიების იარაღად შეიქნა. საეჭვოთა დამნაშავე მოქალაქეთა სამართალში მიცემა საზოგადოების ხსნისა და საზოგადო მშვიდობის კომიტეტების საქმე იყო, რომელნიც 10 ივლისიდან 1793 წ. რობესპიერი მონამორჩილი შეიქნენ

ამგვარივე რევოლუციური ტრიბუნალები იყვნენ პროვინციებშიაც.

ამგვარივე მნიშვნელობა ჰქონდა 27 ჟერმინალის II წლის (16 აპრილის 1794 წლის კანონს), რომელმაც აუკრძალა საფრანგეთის ყოფილ აზნაურებს და მებრძოლი ქვეყნების მოქალაქეთ ცხოვრება ციხე-სიმაგრეებსა და ზღვის პირის ქალაქებში. და, თუმც ეს კანონი არ ეხებოდა კონვენტის წევრთ და კომიტეტები ხშირად არღვევდენ მას, მაგრამ მისი საზოგადო მოქმედება, ცხადია, აძლიერებდა ტერრორის. სისტემას.

დასასრულ, როდესაც რევოლუციური მთავრობა უკიდურესად გაძლიერდა,— აღარავითარი თავისუფლება აღარ ყოფილა და მცირეოდენი ოპოზიცია ქრებოდა, რომ მოქალაქისათვის – დედაკაცისათვისაც კი—თავი მოეკვეთათ. და, ვიდრე რევოლუციურმა ჯარებმა გარეშე მტრებზე არ გაიმარჯვეს, საფრანგეთის მოქალაქენი შეშინებული და ენერგიასა და მამაცობას მოკლებული იყვნენ.

და, თუმცა რევოლუციური მთავრობის წევრნი რევოლუციურ ტერრორს დროებით იარაღად აღიარებდენ და მუდამ აღთქვამდენ, ომის შემდეგ პიროვნების თავისუფლების პრინციპები სავსებით განხორციელებაო, და თუმცა წინდაწინვე ჰქონდათ შიში, ვაი თუ რომელმამე სახელოვანმა სარდალმა რევოლუციის ნაყოფი მთლად არ ვააქარწყლოს და მონარქია არ აღადგინოსო, მაგრამ რევოლუციური მართველობისაგა აშენებული, შენაწევრებული ტერრორისტული სისტემა, პიროვნების თავისუფლე³ის უარმყოფელი და მოქალაქის ენერგიისა და მამაცობის დამჩაგვრელი, — კონტრრევოლუციასა და შემდეგ ნაპოლეონის მონარქიას თვით დაედვა საფუძვლად.

ვასილ წერეთელი.

(ფაქტები უმთავრესად ოლარისაგან ვისესხე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი ბლომათ დაესწრო. შემოსავალი რიგიანი ყოფილა და საჭიროა ფული, თუ გადაცემული არ არის, მალე გადაეცეს ებლაელებს.

უსახლკარო ებრაელები სახხერის ახლო-მახლო მცხოვრებმა ებრაელებმა მოათავსეს თავის სახლებში.

მ. საირხელი.

## ჩვენც მოგვისმინეთ!

(წერილი სამეგრელოდან).*)

ცხრა აქ თვეს მოულოდნელად მოგვევლინა გაზეთი „ჩვენი სხივი“.

გაგვეხარდა ახალი გაზეთის გამოსვლა, გვეგონა ახალს რამეს გვეტყოდა და ჩვენში გამეფებულ ჯგუფურსა თუ პარტიულ თავდავიწყებას გაუმკლავდებოდა, მაგრამ მოვსტყუვდით! ეს გაზეთი გამოდგა სახელ გამოცვლილი „თანამედროვე აზრი“, რომელიც ამ დღეს, რაღაც „ტეხნიკური დაბრკოლებისა“ გამო, თურმე ველარ გამოსულიყო...

უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ გაზეთის ახალმა სახელმა წამიტყუა, თორემ “თანამედროვე აზრს“ თითქმის არა ვკითხულობ ხოლმე, რადგანაც ცოტად თუ ბევრად განათლებულ კაცს ეს გაზეთი არაფერს ეუბნება, ვინაიდგან ეს ათი ხუთმეტი წელიწადია ერთსა და იმავეს გაიძახის, ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებს თავის მკითხველებს, ერთსა და იმავე ჰანგზე მღერის შეუცვლელად, შეურყევლად, ნირ შეუცვლელად.

შეიძლება ეს ერთგვარი ღირსებაც იყოს, მაგრამ ეს ღირსება უფრო მანქანისებურია, უფრო ტიკინისებურია, ვიდრე ადამიანურ-ცხოვრებისებური!

მოგეხსენებათ, რომ ცხოვრება წინ მიდის, ყოველ დღე ახალი რამ მოაქვს, ახალი იდეები იბადება, ახალი გამოგონებანი ჩნდებიან, ახალი სიტყვა გაისმის, თანამედროვე ომმა ხომ სულ მთლად შეატრიალა დღენი ჩვენის ყოფნა-განცდისა, მხოლოდ ეს გაზეთი („თანამედ. აზრი“) დარჩა უცვლელად!

დღევანდელ ნუმერშიც ისა სწერია, რაც ეწერა ამ ათი წლის წინად. შეგიძლიათ თვალები დახუჭოთ და ისე გამოიცნოთ, რომელ გვერდზე რა საკითხი არის „გაშუქებული“.

პირველ გვერდზე უეჭველად გალანძღული იქნება ბურჟუა-ლიბერალები, მის ქვევით ყბად იქნება აღებული ჩვენი „მამულიშვილები“, შემდეგ „ხაზეინ-ექსპლოატატორები, მერე ქება-დიდება თავისიანებისა, შემდეგ ბაქიაობა, მერე კიდევ პროტესტები მერე ამბები „მუშათა ცხოვრებიდან“, (ხშირად გალექსილი), დაბოლოს კვლავ ლანძღვა, კვლავ მუქარა, კვლავ პროტესტები, სამედიატორო სამართალში გაწვევა ვისიმე რიღასათვისაც და... ასე თავიდან ბოლომდე სულ ლანძღვა, სულ გინება, სულ მტრობისა და შუღლის დათესვა, სულ კიცხვა და გმობა ყველა იმათი, ვინც მათ „პარტიას“ არ ეკუთვნის და იმათებურად არ იწერს პირჯვარს!..

ასეთი იყო ეს გაზეთი, ვიმეორებ, ამ 10—15 წლის წინად, ასეთი იყო შარშან, ასეთი იყო გუშინ, ასეთია დღეს... ასეთი იქნება ხვალ, ზეგ, მაზეგ, სამაისოდ, ამ ხუთი და ათი წლის იქით!

სწორედ განსაცვიფრებელი და საკვირველია ასეთი ჯინიანობა, სწორედ მიუწვდომელია ასეთი ერთ-ფეროვნება, მაგრამ რა ეშველება იმ ადამიანს, რომელიც ჩავარდება ამ გაზეთის ყბაში, როგორ და რანაირად იმართლოს თავი, როცა გამგონი და გამკითხავი არავინ არის?

გაგლანძღავენ, ბატონო, უდიერად ჩააგონებენ თავის „პროლეტარებს“ ესა და ეს კაცი „ზუბრია“, „მამულიშვილია“, „ხაზეინია“, „მსუნაგია“ „მტერია პროლეტარებისაო“, და თავზე ხელიც უნდა აიღოს ამ უბედურ დღეზე დაბადებულმა! მე თქვენ მოგახსენოთ მოგისმენენ, ყურს დაგიგდებენ, მოწმებს მოგთხოვენ, გამოიკვლევენ, გამოიძიებენ შენ საქმეს საშუალებას მოგცემენ თავის გამართლებისას!

რა-კი ამ გაზეთის რომელიმე თანამშრომელმა „ჩხიკვი“ იქნება იგი თუ „მუშის შვილი“, „ჟაკი“, თუ „მაკი“ „შტერი“, თუ „მე—რი“—დაგიწერათ რამე, მორჩა და გათავდა თქვენი საქმე! თვით ქრისტე რომ ჩამოიყვანო ზეციდან ალარას დაგიჯერებენ! მთელი მათი „ჯარი“ გიბლევერის შეჩვენებულივით და ყოველ დღე ტვინსა და გულს გიხვრეტენ საყვედურებით!..

ასე დამემართა მეც, ამ სტრიქონების დამწერს: გამიწყრა ღმერთი, ვერ ვაამე ჩვენებურ „კორესპონდენტებს“ ამ გაზეთისას და ყველა ღირსეულმა თუ უღირსმა თავის ხელსახოცად გამიხადა:

„ვლადიმერ ალშიბაია“ ცნობილი „ზუბრია“ „შავრაზმელია“, გლეხების მყვლეფელიაო და სხვადასხვა. ერთის სიტყვით, არ დარჩენილა ისეთი ძველი თუ ახალი საძრახისი სახელწოდება, რომ ჩემთვის არ დაეძახნოსთ! მერე რა დავაშავე? რა ჩავიდინე ისეთი, რომ ასეთ ყბად ასაღებთ გავხდი?

დავაშავე ის, რომ უგანათლებულეს თავად მინგრელსკის მამულების მმართველი ვარ, დღედაღამეს ვასწორებ, რომ პირნათლად გამოვიდე ჩემ პატრონთანაც და შეძლებისადაგვარად მოვაწესრიგო ურთიერთობაც გლეხებსა და მემამულეს შორის.

ჩემი დანაშაული ის არის, რომ ფეხშიშველა არ დავდივარ და ქართველ კაცს მიყვარს ქართველური ცხოვრება; ჩემი დანაშაული ის არის, რომ არავის დავებრიუვინები და ვიდრე არსებობს ეს ოხერი კერძო საკუთრება, ისე ვიქცევი, როგორც თხოულობს არსებული კანონი და სამართალი!.

როგორც უკვე მოგახსენეთ, მე თვითონ არ გახლავარ დიდი მემამულე, მე ვემსახურები უგ. თავად მინგრელსკის და ვიქცევი იმ ინსტრუქციის ძალით, რომელიც მისგანა მაქვს მოცემული. მე ვარ აღმასრულებელი ჩემი უფროსის ბრძანებისა და იმ კანონებისა, რომლის აუსრულებლობაც კისერს მოგვტეხს არა მარტო მე, არამედ იმ მშრომელ ხალხსაც, რომლის ვითომდა ასეთი თავგამოდებული დამცველია „თანამედროვე აზრი“, თუ მისი კოპიო „ჩვენი სხივი“.

საჯაროდ, საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ მე არა ვარ ისეთი „სისხლის მსმელი“ როგორადაც მხატავს ვიღაც „მე—რი“ „ჩვენი სხივის“ პირველ ნუმერში, ან როგორადაც დამუხატივართ წინად და ალბად დამხატვენ შემდეგშიც „მერები თუ გერები“. პირიქით, მე მგონია, რომ ჩემის შუამავლობით უფრო ბევრსა სარგებლობენ ზუგდიდის მაზრის მცხოვრები მიწის მუშები და უფრო ბევრსაც ისარგებლებდენ, რომ მათ არა ჰყავდეს ისეთი ჩამ გონებლები, როგორიც არიან მყვირალა „კორესპონდენტები“ ყველა ჯურისა, რომლებიც აქეზებენ გლეხებს— არ იმუშაოთ, ოხრად დასტოვეთ მამულები, გააპარტახეთ იგინი, და მხოლოდ მაშინ იმუშავეთ, როცა ეს მამულები თქვენ დაგრჩებათო!...

განა ამის მქადაგებელმა მე უნდა მაკიცხინოს „ხალხის მტერი“ ხარო? განა ასეთი მქადაგებლები დაიხსნიან ჩვენს მართლადაც გაჭირვებულ გლეხებს სიმშილსა და მწუხარებისაგან? განა ასეთი მქადაგებლების სიტყვები, თუნდაც ძალიან ლამაზები, კუჭს გაუძღობენ გლეხის შვილებსა და ოჯახს? პირიქით, სწორედ ასეთმა მქადაგებლებმა დაღუპეს ჩვენი გლეხები, გადააჩვიეს შრომას, გაჰბერეს რაღაც იმედებით და იმის მაგივრად, რომ თავის დროზე დახნან და დაიმუშაონ თუნდაც სხვისი მამულები და ლუკმა პური იშოვონ, დღეს გულ-ხელდაკრეფილი სხედან და სიმდიდრის მომცემი ტყე-ველიც დაუმუშავებელი გდია.

ვინ, ვინ არის აქ დამნაშავე? მე თუ ის ჩიტირეკია „მქადაგებელი“, რომელსაც თავ-ტანისა არა გაუგია-რა და ბოროტი გველვეშაპივით შხამავს ყველას და ყველაფერს!..

ავიღოთ, მაგალითად, თუნდა მამული ჯოდეჯიანი, რომლის გამოც ლამის ჯვარზე გამაკრას ვიღაც „მე—რი“-მ, გავითვალისწინოთ მისი ისტორია და მერე ვიკითხოთ: ვის უფრო დიდი დანაშაული მიუძღვის გლეხების წინაშე მე,—„ზუბრს“, თუ ყოვლად უვიცსა და უმეცარ „მერის“, ამ „დიდებულ“ კორესპონდენტს მუშებისათვის თავდადებულ გაზეთისას“

ვლ. ალშიბაია.

(შემდეგი იქნება).

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სიმართლის აღსადგენათ.

რედ.

## რუსეთი.

ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია რკინის გზებზე მიმოსვლის ფასს 20 პროცენტი მოუმატოს

——

16 ივნისიდან ძალაში შედის ვაჭრობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ნიხრი ფეხსაცმელებზე, ნიხრის დამრღვეველი 1 წლით ციხეში დაპატიმრებით ისჯება სავალდებულო დადგენილების მიხედვით ფეხსაცმელებზე დაწესდა შემდეგი ფასები: ხრომის მასალისგან დამზადებული ელირება 38 მან. შპილკებით შეკერილი მეორე ხარისხის ტყავისა 36 მან. ფოსტალი 25 მან. ცაზაფხულო ტუფლი 14 მან და 60 კაპ ფერადი ბატინკები პირველ ხარისხისა მამაკაცთათვის 22—23 მან დედაკაცთათვის 19—20 მან. შავი ტყავიდან მამაკაცთათვის 20—21 მან. ქალებისთვის 18—25 კაპ. და 17—50 კაპ.

ჰამბურგის მასალისა მამაკაცთათვის 17 15 მან. ქალებისთვის 15—14 მან

მაგარი ტილოს ფეხსაცმელები 10—9 მან ქალებისთვის 7—8 მან.

„ტუფლები“ პირველი ღირსების მასალისა მამაკაცთათვის 21 მან.—50 კაპ. და 17 მან. 35 კაპ., ქალებისთვის 17—15 მან შავი-ტყავის მამაკაცთათვის 19 მან —50 კაპ 18 მან., ქალებისთვის 16 მან — 13 მან.

——

ბავშვებისთვის მორიგებით 7 მანეთიდან 12 მანეთამდე.

——

სათათბიროს პროგრესიულმა ბლოკმა უმაღლესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა სათათბიროს სესია გაგრძელებულ იქნას 1 ივლისამდე. მთავრობას კი აზრად აქვს სათათბირო 22 ივნისს დაითხოვოს.

——

გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს წევრი გრ ბერლიაევი (მემარცხენე).

——

მთავრობას გადაუწყვეტია სათადარიგო შაქრის დამამზადებელი ქარხანა მოაწყოს.

——

სამხედრო ტყვეების საქმეში მომუშავე კომისია ავსტრიის მთავრობასთან მორიგებულა, რომ გაცვლილ იქნას ექიმი და ფერშალი ტყვეებო. ამ პირველ რიგზე გაცვლიან 49 ექიმს, 154 ფერშალს, 359 სანიტარს და 21 მეაფთიაქეს.

### უცხოეთი.

მონღოლეთსა და მანჯურიაში ძველ ცინის დინასტიის ჩამომავალთა გამეფება განუზრახავთ. ამბობენ, ამ საქმეს მხარს უჭერს იაპონია, რომელსაც ჰსურს ხსენებული ქვეყნები თავის პროტექტორატობის ქვეშ მოაქციოს. თუ ეს ხმები გამართლდა, მაშინ მოსალოდნელია იაპონია ჩინეთს შორის დამოკიდებულობის გამწვავება, რადგან მონღოლეთი და მანჯურია ჯერ ჯერობით ისევ ჩინეთის იმპერიის პროვინციებად ითვლებიან.

——

იაპონიის ხაზინას ჩრდილო მანჯურიის რკინის გზიდან წელს შემოსვლია 880,000 იენი. ხარჯი ჰქონია 380,000 იენი, მაშასადამე, წმინდა შემოსავალი ყოფილა 550,000 იენი.

——

სტოკჰოლმის საკომერციო ბანკში საფრანგეთმა 40,000,000 კრონი სესხი აიღო

——

ნორვეგიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა ლოთობასთან საბრძოლად რესტორანებსა და ტრაქტირებში როგორც ღვინის, ისე ყოველგვარ მაგარ სასმელებით ვაჭრობა აიკრძალოს.

——

ავსტრიის მთავრობას საერთაშორისო კომისია პასუხისგებაში აძლევს, რადგან იგი იტალიის ასპარეზზე მოწამლულ ტყვიებს ხმარობდა.

——

შეთანხმების სახელმწიფონი ჰპირდებიან საბერძნეთს, თუ იგი მათ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, საჭირო სესხის მიცემას

——

ირლანდიის საკითხი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ასკვიტს ამ საკითხის განხილვაში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა უმრავლესობა საკითხის გადადებას მოითხოვს.

——

მიუნხენში სურსათ სანოვაგის კრიზისის გამო დიდი არეულობა მოხდა.

——

გერმანიის სამხედრო შტაბის უფროსის აწ განსვენებულ ფელდმარშალ მოლტკეს შესახებ ბერლინის პრესა ასეთ აზრს გამოსთქვამს: მოლტკე არ იყო ისეთი გენიალური ნიჭის პატრონი. როგორც მისი ბიძა, მაგრამ მასში მაინც გამოსჭვივოდა დიდი სამხედრო ცოდნა, ბელგიის ტერიტორიაზე შეჭრა მოლტკეს გეგმით მოხდარა აგრეთვე მოლტკე დიდი მეგობარი იყო იმპერატორ ვილჰელმისაო.

## შემოწირულობა.

25 მაისს „სინათლის“ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამოსთვის შემოსწირეს:

სახხერიდან ქ. ჭოღოშვილის მიერ შეგროვილი: ნესტო დუმბაძის ცხვირსახოცი, მიხაკო თუშიშვილმა წინდები, პეტრე ენუქაშვილმა 2 არშ. ჩითი, მიხაკო ქველაძემ ცხვირსახოცი, პლატონ ქებაძემ 2 კოლოფი პაპიროსი, ვასიკო დურმიშიძემ ყავა, მოსე კიკოზაშვილმა 2 არშ. ჩითი, ტრიფონ ფირცხალ. 2 ფანქარი, მერაბა კაპანაძემ საპონი, დომენტი ტაღახაძემ ცხვირსახოცი, კოსტა ძიბძიბაძემ პუდრი, სიმონიკა ხოჯაშვილმა საპონი, ვანო ბეჟალოვმა თიხის კრუშკა, მიხაკო გძელიშვილმა შალის ქუდი, სერგო ხუციშვილმა 3 პაჩკა პაპიროსი, ბაგრატა თუშიშვილმა კალმისტარი, დავით მირიანოვმა 3 გრიფელი, კოტე ტინტილოზოვმა მაუდის ქუდი, არაქელა დუმბაშვილმა მეოთხედი გირ. ჩაი, მიშა ხუნდიაშვილმა ერთნახევარი არშ. ჩითი, ვასილ მღებრიშვილმა 3 ხის კოვზი, ვანო კაჭკაჭოვმა 2 სათამაშო, გაბრიელ ნანიკაშვილმა ხელთათმანი და ძაფი, და იოსებ კაჭკაჭოვმა 2 კოლოფი პაპიროსი.

თამარა გირბაზანას ასულმა შანდალი, კატო დათიაშვილის ასულმა კბილის ჩოთქი, კატო ბიბილაშვილისამ სარკე, კნ. მარიამ ჩიქოვანისამ 2 მამპანიურის ჭიქა, ვალენტინა ყორღოლიანისამ ჰერანგის არშია, მარო ჯანგავაძისამ ზეწრის არშია, სერაფიმა ფურცხვანიძის ას. ბალიშის პირი, პელაგია ბენიძისამ 1 წყვილი მუთაქის პირი, ნინო ლორთქიფანიძისამ კასა და ლამბაქი, მარო კვირკველიასამ არდანი, ბურთი და დუდუკი, სოფიო გიორგობიანის ქვრივმა 6 ფინჯანი და ლამბაქი, პაშა დათეშიძისამ 1 ბალიშის პირი, ანნა ჭიჭინაძისამ 1 „სუდოკი“ ლიქორის ჭიქებით, სათვერთვლე და სამარილე, კოლია დათეშიძემ ცირკული, ოცხელმა—წიგნები, რომლის უმთავრესი ნაწილი გადაეცა „სინათლის“ სასწავლებლის წიგნსაცავს.

ნადირაძემ სამი შუშა ზიკული, ... საკმე, ზილბერთვარმა 4 ცალი საპონი, სერგეტნაძემ 1 შუშა ოდეკოლონი, ... საბაჟო სასხტავი, ... 3 ნაჭ. საპონი, 2 შუშა ფეხსაცმელის ... უფუარაძემ ტანისამოსის საწმენდი და ლანგარი, რებეკა ვოლოხმა ქალის ქუდი, ზვიადაძემ რგოლები, მანაგაძემ რგოლები, ზვიადაძემ რგოლები, აბზიანიძემ 30 ბოთლი ლიმონათი, ბართაიამ შოკოლადი, ნადირაძემ და საღეჭელი ჩანთა, სოფიო ბუტულოვის ასულმა ჩაის ჩასაყრელი, თავდიდიშვილმა 2 არშ. კუმაჩი, იზრაილ ელიგულაშვილმა 3 არშ. მუსლინი, ილია ფიჩხაძემ 2 შუშა დუხი, ისხაკ დათიაშვილმა 3 არშ. ჩითი, არონ ფიჩხაძემ 3 არშ. ჩითი, ხაინდრავამ საპონი, რიჟინაშვილმა სავარცხელი, ჩიხლაძემ ხელთათმანი, ლეჟავამ ხელთათმანი, პუდრი და პენალი

(შემდეგი იქნება).

---

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

---




## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 55 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 45 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 31 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 55 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს 24 | „ |

ქ ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. 5 | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 30 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 | „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 6 ს. 25 | „ |

---

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკუ ნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

---

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)